# შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

1. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში დაინტერესებული პირების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს.
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანია კოლეჯის პოპულარიზაცია და დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საზოგადოების როლის ზრდა კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებაში. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს სწორი და დროული ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებას მიზანმიმართული საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებითა და საზოგადოების ჩართულობით.
3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას კოლეჯის ავტორიტეტი და არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს დაწესებულების ღირსების შელახვას. კომუნიკაცია წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის ნამდვილობა, უზრუნველყოს  უტყუარი ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით.
4. კოლეჯის ვიზიტორებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნავს კოლეჯის ყველა თანამშრომელი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში ახდენს ვიზიტორის დაკვალიანებას.
5. კოლეჯში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებასა და მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისათვის შემდგომ ადრესატს.
6. კოლეჯში დაგეგმილი შეხვედრების მონაწილეების, ღონისძიებების სტუმრებისა და მედიის წარმომადგენლების მიღება/დახვედრას უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი წინასწარი მომზადების საფუძველზე.
7. გაუთვალისწინებელ და დაუგეგმავ შეხვედრებს ორგანიზებას უწევს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი შესაბამის თანამშრომლებთან კოორდინირებით.
8. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კოლეჯში პერიოდულად იმართება სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო შეხვედრა ცნობიერების ამაღლების მიზნით.
9. საზოგადოებასთან ურთიერთობის შეხვედრების ფორმატში, კოლეჯი პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში, ახდენს საჯარო და კერძო სკოლებში ინფორმაციის გაზიარებას პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეკლამირების მიზნით.
10. კოლეჯი მხარს უჭერს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობას.
11. კოლეჯი ზრუნავს სხვადასხვა პროექტში პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჩართულობაზე.
12. კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კარიერის მართვის სერვისები, რომლებიც მოიცავს მათი წახალისებისკენ მიმართულ აქტივობებს:
    - სხვადასხვა თემატიკის კონკურსების ორგანიზებას;
    - საინფორმაციო შეხვედრების/ტრენინგების/მასტერკლასების მოწყობას;
    - სხვადასხვა სპორტული და შემეცნებითი აქტივობის დაგეგმვას;
    - ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში, სხვადასხვა სტუდენტური სერვისის განხორციელებას.
13. პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საგანმანათლებლო თუ სპორტული ინიციატივების ხელშეწყობას, აორგანიზებს ზემოაღნიშნულ აქტივობებს და უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის კოლეჯის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში, კოლეჯის შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფებსა და სხვა ხელმისაწვდომ ადგილებში განთავსებას.
14. თანამშრომლების დროულად ინფორმირებისათვის, პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მიმართავს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: სატელეფონო კავშირი, კოლეჯის ვებგვერდი, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა ან/და კოლეჯის ღია სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფა.
15. პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი შეხვედრების ფორმატით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობს თანამშრომლებს დაგეგმილი პიარ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და აწვდის დეტალებს გავრცელების მიზნით.
16. პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება კოლეჯის ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯის შენობის ღია სივრცე და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებები. საჭირო ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა განხორციელდეს ვერბალური გზით, აუდიტორიებსა და კოლეჯის ღია სივრცეში დიდი ფორმატის შეხვედრის ორგანიზების მეშვეობით.
17. კოლეჯი აანალიზებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსულ შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს.
18. აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი აანალიზებს წელიწადში ერთხელ, არსებულ საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით, რომელიც გამოიყენება კოლეჯის შემდგომი განვითარებისათვის.